

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2020 წლის ---- დეკემბერი ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 02/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016489) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3**

დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს 2021 წლის 01 აპრილამდე შეიმუშაოს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების ახალი წესი, რომლითაც მოწესრიგებული იქნება გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის, საზოგადოებრივი სივრცეების სარგებლობის, გარე ვაჭრობის დროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისათვის ქირისა და სხვა აუცილებელი საკითხები.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

## დადგენილების პროექტი

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული უმძიმესი გამოწვევების შედეგად დაზარალდა საზოგადოება, მოსახლეობამ დაკარგა სამუშაო ადგილები, შეუმცირდათ შემოსავლები და სხვა. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რაც ითვალისწინებს ვადის გადაწევას 2021 წლის 1 აპრილამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების ახალის წესის შემოღების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და ასევე გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის ინტერესები გადასახადის გათავისუფლების ნაწილში.

### ბ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

### გ) პროექტის ფინანსური მხარე

არ გააჩნია, ამ ეტაპზე ბიუჯეტი ვერ მიიღებს არანაირ შემოსავალს.

### დ) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

### ე) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის  
შემსრულებელი

დავით კობინაძე